

| | |
|--|---|
| <p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p> | <p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p> |
| <p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p> | <p>ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამა</p> |
| <p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p> | <p>ქიმიის დოქტორი</p> |
| <p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p> | <p>საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებისა და ბსუ-ში შემუშავებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის მოცულობაა 60 კრედიტი. აქედან 45 კრედიტი სავალდებულოა, ხოლო 15 კრედიტი ეთმობა არჩევით კურსებს, აგრეთვე პროფესორის ასისტენტობისა და სემინარების შესრულებას. სამეცნიერო კომპონენტი მოიცავს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამით დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადა 3წელია.</p> |
| <p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p> | <p>სამეცნიერო კვლევების გააქტიურების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს ქიმიური კვლევის განხორციელებას თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდებით; შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, დოქტორანტის კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბება, რომელიც თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებით დამოუკიდებლად დაგეგმავს და განახორციელებს კვლევებს;</p> <p>პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია კვლევის განხორციელება შემდეგი მიმართულებებით: კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდების ადაპტირება დასრულყოფა; ნაერთთა შედგენილობისა და სტრუქტურის წინასწარი დადგენა ქიმიური, ფიზიკო-ქიმიური მეთოდებით; ბუნებრივი ნაერთების კვლევა ინსტრუმენტული მეთოდებით - მაღალი წნევის სითხური და აირ-სითხური ქრომატოგრაფიით, ფოტოკოლორიმეტრიით, ულტრაიისფერი, ხილული და ინფრაწითელი სპექტროსკოპიით, მას-სპექტრომეტრიით, ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული სპექტროსკოპიით; კვლევებისას მაღალი წნევის ფლუიდური ექსტრაქციის გამოყენება; ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა კომპლექსური შედარებითი კვლევა აგროეკოლოგიური ფაქტორების გავლენისა</p> |

| | |
|--------------------------------|--|
| | <p>და გადამუშავება-შენახვისას;ნივთიერებების ანტიოქსიდანტური და სხვა ტიპის აქტივობის დადგენა, კვლევების შედეგების გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.</p> |
| <p>სწავლის შედეგები</p> | <p>ეცოდინება : ქიმიური კვლევის თანამედროვე მეთოდები; ბუნებრივი ნაერთების შედგენილობისა და სტრუქტურის დადგენის, თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ქიმიური, ფიზიკო-ქიმიური და თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდები; მათი მონაწილეობით მიმდინარე ქიმიური რეაქციები და მათი მიმდინარეობის მექანიზმები.გაცნობიერებული ექნება უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა ქიმიის მიმართულეებით, რაც მისცემს არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას;</p> <p>ექნება: ქიმიაში ახლებური კვლევითი და ანალიზური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავების უნარი, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული; ქიმიაში ექსპერიმენტული კვლევის ჩატარებისა და შედეგების პრაქტიკაში დანერგვის უნარი.შეძლებს:აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს ინოვაციური კვლევა ქიმიაში; კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, ადაპტირება გაუკეთოს ან შეიმუშაოს ახალიკვლევითი და ანალიზური მეთოდები; აწარმოოს აქტიური კვლევა;</p> <p>შეძლებს:ქიმიკოს მკვლევართა ჯგუფის ეფექტურ ხელმძღვანელობას, ამოცანების მკაფიო ფორ-მულირებას და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადექვატურ გამოყენებას; პრობლემის გადაჭრისათვის ახალი, ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას წინააღმდეგობრივი იდეების შეჯერების, გაანალიზებისა და კვლევის ახალი, ადაპტირებული თუ გაუმჯობესებული მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებას;</p> |
| <p>შეფასების წესი</p> | <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებისა და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დოქტორანტურის შესაბამისი დებულების მიხედვით.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით (მიმდინარე აქტიურობის შეფასება – 40 ქულა, შუალედური გამოცდები - 20 ქულა, დასკვნითი</p> |

| | |
|-------------------------------|--|
| | <p>გამოცდა - 40 ქულა). ყოველ კონკრეტულ სასწავლო კურსში მიმდინარე აქტიურობის ყველა კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ქულათა გარკვეული რაოდენობა. ქულათა მაქსიმუმი მითითებულია შესაბამის სილაბუსში და განისაზღვრება პროფესორის მიერ ინდივიდუალურად. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა;</p> <p>სტუდენტის საბოლოო შეფასება:სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიანკარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.უარყოფითი შეფასებებია: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში</p> <p>სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F)ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვა (შესრულება) სრულდება მისი შეფასებით. დარგობრივი სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, შემდეგი შეფასებებით:</p> <p>ა) ფრიადი (summacumlaude) – შესანიშნავი ნაშრომი;</p> <p>ბ) ძალიან კარგი (magnacumlaude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებსყოველმხრივ აღემატება;</p> <p>გ) კარგი (cumlaude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;</p> <p>დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;</p> <p>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;</p> <p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) -არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი,რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (subomnicanone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p> |
| <p>საკონტაქტო პირი</p> | <p>პროგრამის ხელმძღვანელი: მაია ვანიძე, ასოცირებული პროფესორი, ქიმიის დეპარტამენტი ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის #93/99 ბ. 21 ტელეფონი: (+995) 599 18 23 22; (+995) 577 73 55 44 ელ-ფოსტა: vanidze.maia@bsu.edu.ge</p> |

